პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---ნოემბერი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ზურაბ ბეგიაშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ექიმის ზურაბ ბეგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ზურაბ ბეგიაშვილის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ექიმის ზურაბ ბეგიაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:487877 Y:4615821
X:487870 Y:4615811
X:487871 Y:4615801
X:487919 Y:4615800
ზურაბ ბეგიაშვილის
სახელობის სკვერი
X:487912 Y:4615786
X:487895 Y:4615767
X:487892 Y:4615765
X:487948 Y:4615761
X:487900 Y:4615760
X:487896 Y:4615758
X:487948 Y:4615721
X:487923 Y:4615721

19/03241741-03
19.06.2024

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ: ნელი ბეჟიაშვილი
მცხ: გარდაბნის რ-ნი, სოფ. კუმისი
ტელ: 558 42-73-63
პ.ნ: 01029012275

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ. თბილისის სამგორის რაიონში ერთ-ერთ ქუჩას ქალაქის საკრებულომ მიანიჭა ჩემი შვილის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ექიმის - ზურაბ ბეჟიაშვილის სახელი, რისთვისაც კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას.

ქუჩის მარჯვენა მხარეს არის პატარა სკვერი, გთხოვთ ამ სკვერსაც მიანიჭოთ ზურაბ ბეჟიაშვილის სახელი, [illegible], [illegible] [illegible] მოვლა-პატრონობა, მაგრამ დაინტერესებული ვარ რას ამ მეტყვით, მით უმეტეს, რომ ქუჩა და სკვერი ერთ მთლიანობას ქმნის, ქუჩის მარჯვენა მხარე სკვერს უკავია.

19/VI - 2024 წელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032420162**
თარიღი: **19/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ნელი ბეგიაშვილის 2024 წლის 19 ივნისის საქმე #19/032417141-03 დაკავშირებით, რომელიც სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის ზურაბ ბეგიაშვილის სახელის მინიჭებას ეხება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ სამგორის რაიონში არსებული უსახელო სკვერის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ზურაბ ბეგიაშვილი

(1980-2008)

ექიმი, სამედიცინო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით და მედლით "სამშობლოსათვის თავდადებული"

დაიბადა გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ლეიტენანტი ზურაბ ბეგიაშვილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონში ექიმად მსახურობდა. 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაიღუპა. 2008 წლის 3 დეკემბერს, დნმ-ის ანალიზის დადებითი პასუხის საფუძველზე, მუხათგვერდის სამმო სასაფლაოდან მშობლიურ სოფელ კუმისში გადაასვენეს. 2013 წელს გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისის საჯარო სკოლას ზურაბ ბეგიაშვილის სახელი მიენიჭა, თბილისში და სოფელ კუმისში არის მისი სახელობის ქუჩა.

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადების, სიმამაცისა და თავგანწირვისათვის, ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის, გარდაცვალების შემდეგ 2008 წელს დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.
საომარი მდგომარეობის პერიოდში საქართველოს თავდაცვის საქმეში გამოჩენილი დიდი დამსახურებისთვის დაჯილდოებულია მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“